ოქმი:**ო37. 3724152001**

თარიღი:**31/05/2024**

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2024 წელი, 29 მაისი

ქ. ოზურგეთი

11:00 -საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ლ. ბიგვავა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი და

ტ. აროშიძე;

მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, ქ.ხომერიკი,პ.კიღურაძე;

ფრაქციის თავმჯდომარეები- მ. ჩხიკვიშვილი,

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, ნ. ქარჩავა ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ.ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე,ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში.ნ. სარჯველაძე,მ. ვაშალომიძე,დ.მდინარაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გ. ღურჯუმელიძე

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე,საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 25-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 25-ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებმა“

დატოვეს ხმაურით,საკრებულოს უმრავლესობის მიმართ შეურაცმყოფელი სიტყვებით საკრებულოს სხდომა.საკრებულოს სხდომის განახლების შემდეგ უმცირესობის წევრები სხდომას არ დასწრებია.

დღის წესრიგი

4.1."ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებებით გადაცემის,ქონების საწყისი საფასურის,ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ"-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გ. ღურჯუმელიძე მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას. მან მოკლე მიმოხილვა გააკეთა საკრებულოს სხდომაზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საკრებულოს წევრები არ ესწრებიან ან არ ღებულობენ მონაწილეობას პროექტების განხილვაში. უპასუხისმგებლოდ ექცევიან დეპუტატის მანდატს.

გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, გულისხმობს კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებებით გადაცემის,ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესს, ნებისმიერი ქონება,რომელიც არის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, მათი განკარგვა ხდება ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსისა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტი და კერძო სამართლის იურიდიული პირები წინამდებარე წესის შესაბამისად უფლებრივად განკარგავენ ქონებას. ამ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოების პერიოდში შენიშვნები და მოსაზრებები არ შემოსულა.

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა ამ საკითხთან დაკავშირებით .ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შენიშვნები და რეკომენდაციები არ შემოსულა.კომისიამ მხარი დაუჭირა განკარგულების დამტკიცებას.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

31.2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

32.3.“ .ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ-.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ განმარტა,რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გულისხმობს პრივატიზაციის გეგმის დამტკიცებას და შემდგომში ელექტრონული აუქციონის წესით ქონების გასხვისებას.

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

4.“ 2024 წლის ბიუჯეტის 1 კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გელა ჩავლეშვილი

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ გააკეთა ზოგადი მიმოხილვა 2024 წლის ბიუჯეტის 1 კვარტლის შესრულების ანგარიშის შესახებ.საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ.ბიგვავამ კითხვით მიმართა გ. ღურჯუმელიძეს: 2024 წლის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში მოსალოდნელი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, რამდენად არის მოსალოდნელი მიმდინარე კვარტლის 1-კვარტლის შესრულების განსახილველად წარმოდგენილი ანგარიშის კორექტირება.უპასუხეს,რომ 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა არ გამოიწვევს განსახილველად და ცნობად მისაღები 1-კვარტლის ანგარიშის კორექტირებას. საკრებულომ მოისმინა, დადებითად შეაფასა და ცნობად მიიღო მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 1 კვარტლის შესრულების ანგარიში

33.5.“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამების განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედი გარე რეკლამების განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი არ შეესაბამება მიმდინარე პერიოდისთვის არსებულ მდგომარეობას და აუცილებელია ახალი წესის მიღება.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

პროექტი დაყენებულ იქნა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე.

34.6.გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების,აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“

--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

პროექტი დაყენებულ იქნა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე.

7.ინფორმაცია ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე ავტომანქანის პარკირების რეგულირების არსებული მდგომარეობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლავრენტი ბიგვავამ აღნიშნა:კარგია რომ დაიწყო ავტომანქანების პარკირების პრობლემების განხილვა,რადგან არსებობს სერიოზული პრობლემები ,რაც იწვევს მოსახლეობაში უკმაყოფილებას. მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ პარკირების სისტემა, მოსახლეობის მომსახურების მიზნით დაიხვეწება და გაუმჯობესებული სერვისებით მოსახლეობა გადავა მომსახურების ახალ სისტემაზე.

საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ერთხმად ცნობად იქნა მიღებული

8.ინფორმაცია მაწანწალა და უპატრონო ძაღლების მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული

9.ინფორმაცია საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი და დამტკიცებული ქონების რეალიზაციის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული

10.ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კომუნალური მეურნეობის მართვის სფეროში არსებული მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამების და მათი შესრულების ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ წარმოადგინა ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამების და მათი შესრულების ანალიზის და შესაბამისი რეკომენდაციების შესახებ.

საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი